

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
უფროსს ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

თქვენი, 2022 წლის 25 აგვისტოს N21/4757 წერილის, N380 განცხადებით წარმოდგენილი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, მდ. ფარავანსა და მდ. კორხზე 9.1 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ახალქალაქი ჰესის (ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2), 35 კვ. ქვესადგურის და ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის ანგარიშში დასაზუსტებელი საკითხების შესახებ გიგზავნით ჩვენს პასუხებს თითოეულ პუნქტზე, რომლებიც ასევე ასახულია სკრინინგის განახლებულ ანგარიშში:

- შენიშვნა - სკრინინგის განცხადებას თან უნდა ერთოდეს საპროექტო ნაპირსამაგრი ნაგებობების Shp ფაილები;

პასუხი - ნაგებობების SHP ფაილები თან ერთვის წერილს CD დისკზე;

- შენიშვნა - სკრინინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს საპროექტო ნაპირსამაგრი ნაგებობების პარამეტრების შესახებ ინფორმაცია;

პასუხი - ნაპირსამაგრი ნაგებობის ტექნიკური პარამეტრები შემდეგია: სიგრძე 25 მ, სიმაღლე 1.1 მ, ხოლო ფერდების დახრილობა შეადგენს 1:1.5. ქვაყრილის მოსაწყობად გამოყენებული იქნება 0.4-0.6 მ დიამეტრის ქვები (იხილეთ თანდართული სკრინინგის ანგარიში, პარაგრაფი 3.2.);


- შენიშვნა - წარმოდგენილი უნდა იქნეს საპროექტო თევზსავალის, დილისკას ხევის გადაკვეთაზე გათვალისწინებული წყალგამტარი ნაგებობისა და საპროექტო ნაპირსამაგრი ნაგებობების GPS კოორდინატები;

პასუხი - ნაგებობების გეოგრაფიული კოორდინატები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში UTM WGS 84 სისტემის 38N ზონაში (იხილეთ თანდართული სკრინინგის ანგარიში პარაგრაფი 3.1. და პარაგრაფი 3.2.);

ნაგებობა	კოორდინატები	
	X	Y
თევზსავალის დასაწყისი	372143.78	4587554.85

AIS LLC
(Akhalkalaki HPP)

Add: No 13-4, IV Floor, VIII-Entrance, No12 Sulkhan Tsintsadze Str. Tbilisi, Georgia
Tell: (+995) 593 320 216 – (+995) 598 132 201
E-mail: matitashvili@ais-georgia.ge – hsabouri@ais-georgia.ge



AIS LLC
(Akhalkalaki HPP)

ნაგებობა	კოორდინატები	
	X	Y
თევზსავლის დასასრული	372136.77	4587593.01
ნაპირსამაგრის დასაწყისი	372089.40	4587606.37
ნაპირსამაგრის დასასრული და დილისკას ხევის წყალგამყვანის დასაწყისი	372111.55	4587616.75
დილისკას ხევის წყალგამყვანის დასასრული	372134.15	4587624.11

- შენიშვნა - წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების შესახებ, ასევე დასაზუსტებელია გამოსაყენებელი ტექნიკის შესახებ ინფორმაცია (რაოდენობისა და ტიპის მითითებით);

პასუხი - ქვემოთ მოყვანილია ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების შესახებ და მათ შესასრულებლად საჭირო ტექნიკის შესახებ თითოეული ნაგებობისთვის (ასევე იხილეთ თანდართული სკრინინგის ანგარიში პარაგრაფი 3.4.):

- **თევზსავალი** - თავდაპირველი პროექტის მიხედვით გათვალისწინებული იყო ტექნიკური ტიპის, აუზებიანი ქვეტიპის რკინაბეტონის თევზსავალი. მოცემული ცვლილება ითვალისწინებს ტექნიკური თევზსავლის შეცვლას ბუნებრივი ტიპის თევზსავლით.

აღნიშნული თევზსავლის მოწყობისთვის საჭიროა შემდეგი სამშენებლო სამუშაოები - მიწის ფორმირება ტრაპეციული არხის ფორმების მისაღებად გრუნტის ადგილზე მოსწორებით, ჰიდროსაიზოლაციო მემბრანის მოწყობა არხში ფილტრაციების პრევენციის მიზნით, არხის ადგილობრივი ქვებით მოპირკეთება და წინაღობის ლოდების განლაგება.

ზემოთ ხსენებული მიწის ფორმირების და ქვების მოწყობის სამუშაოებისთვის გამოყენებული იქნება ერთი 3 ტონიანი მუხლუხა ექსკავატორი და ერთი ბორბლიანი დამტვირთველი.

აღსანიშნავია, რომ ტექნიკური თევზსავლის მოწყობის შემთხვევაში გარდა ნახსენები ტექნიკისა საჭირო იქნებოდა დამატებით ბეტონშხიდები, ამწე, ბეტონის წარმოება და სხვა სამშენებლო ტექნიკა თუ მასალა რაც თავისთავად მეტ უარყოფით გავლენას იქონიებდა გარემოზე.

AIS LLC
(Akhalkalaki HPP)

Add: No 13-4, IV Floor, VIII-Entrance, No12 Sulkhan Tsintsadze Str. Tbilisi, Georgia
Tel: (+995) 593 320 216 – (+995) 598 132 201
E-mail: imtitashvili@ais-georgia.ge – hsabourti@ais-georgia.ge

AIS LLC
(Akhalkalaki HPP)

o **დილისკის ხევის წყალგამტარი** - თავდაპირველ პროექტში გამორჩენილი იყო დილისკის ხევის და ახალქალაქი 1 ჰესის სადაწნეო მილსადენის გადაკვეთის მოწყობის კვანძი. აღნიშნული ცვლილება ითვალისწინებს ხევის წყლის მოწესრიგებული წესით გადაყვანას სადაწნეო მილსადენზე და მის ჩაშვებას მდ. ფარავანში ბუნებრივ ადგილზევე.

აღნიშნული ნაგებობის მოსაწყობად საჭიროა შემდეგი სამშენებლო სამუშაოები - მიწის ფორმირება გრუნტის ადგილზე მოსწორებით, მცირე რაოდენობით (დაახლოებით 75 მ³) გრუნტის გატანას, მცირე რაოდენობის რკინაბეტონის სამუშაოები და GRP მილების საშონტაჟო სამუშაოები.

აღნიშნული სამუშაოების განხორციელებისთვის საჭირო სამშენებლო ტექნიკა: ერთი 14 ტონიანი მუხლუხა ექსკავატორი, ერთი ბორბლიანი დამტვირთველი, ერთი ბეტონმზიდი.

აღსანიშნავია რომ ჩამოთვლილი ტექნიკა მისი მახასიათებლებით და რაოდენობით წარმოადგენს ძალიან მცირე ნაწილს პროექტში გამოყენებული ტექნიკის, მითუმეტეს თუ მხედველობაში მივიღებთ რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე მიწის ფორმირების სამუშაოები ისედაც იყო ჩასატარებელი.

ნაპირსამაგრი ნაგებობა - წარმოადგენს მდ. ფარავნის და მისი მარცხენა შენაკადის - დილისკის ხევის დელტის ადგილას მოსაწყობ ნაგებობას რომელიც გამორეცხვისგან და ეროზიისგან დაიცავს ახალქალაქი 1 ჰესის სადაწნეო მილსადენს.

აღნიშნული ნაგებობის მოწყობისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოს წარმოადგენს მილსადენის ექსკავაციისას წარმოქმნილი ლოდნარით ფერდის მოკირწყვლა.

ნახსენები სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ტექნიკას წარმოადგენს ერთი თვითმცლელი და ერთი 30 ტონიანი მუხლუხა ექსკავატორი.

აღნიშნული ტექნიკა მისი სპეციფიკიდან და რაოდენობიდან გამომდინარე წარმოადგენს ძალიან მცირე პროექტში გამოყენებული ტექნიკის ნაწილს.

- **შენიშვნა** - დაზუსტებას საჭიროებს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში წარმოქმნილი გრუნტის მოცულობისა და შემდგომი მართვის საკითხი;

პასუხი - აღნიშნული ცვლილებების განხორციელებისას როგორც ზემოთ არის ნახსენები დილისკის ხევის წყალგამტარის მოწყობისას ადგილი ექნება მცირე რაოდენობის (დაახლოებით 75 მ³) დამატებითი გრუნტის მოცულობის წარმოქმნას, რომლის განთავსება მოხდება ახალქალაქი ჰესის მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანებისათვის მოწყობილ სანაყაროზე (იხილეთ თანდართული სკრინინგის ანგარიში პარაგრაფი 4.5.).

AIS LLC
(Akhalkalaki HPP)

Add: No 13-4, IV floor, VIII-Entrance, No12 Sulkhan Tsintsadze Str. Tbilisi, Georgia
Tel: (+995) 593 320 216 – (+995) 598 132 201
E-mail: matiashevili@ais-georgia.ge – hsabouri@ais-georgia.ge

AIS LLC
(Akhalkalaki HPP)

- შენიშვნა - დაზუსტებას საჭიროებს ნარჩენების მართვის გეგმის შესახებ ინფორმაცია, ასევე ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების (სახეობები და რაოდენობა) და შემდგომი მართვის საკითხი.

პასუხი - ნარჩენების წარმოქმნის და მისი მართვის შესახებ ინფორმაცია თითოეული ნაგებობისთვის მოცემულია ქვემოთ (ასევე იხილეთ თანდართული სკრინინგის ანგარიში პარაგრაფი 3.4.):

- **თევზსავალი** - როგორც ზემოთ საშენებლო სამუშაოების შესახებ პუნქტშია ნახსენები ბუნებრივი ტიპის თევზსავალისთვის (განსხვავებით რკინაბეტონისა, სადაც ადგილი ექნებოდა ყალიბის, ბეტონის და არმატურის ნარჩენების წარმოქმნას) ძირითადად გამოყენებული იქნება ადგილობრივი მასალა და ნარჩენების წარმოქმნას ადგილი არ ექნება.
- **დილისკის ხევის წყალგამტარი** - ნაგებობისთვის გათვალისწინებულია მცირე რკინაბეტონის სამუშაოები რომლის შესრულებაც დაგეგმილია პროექტის განმავლობაში უკვე გამოყენებული საყალიბე მასალის მეშვეობით. ასე რომ დამატებითი საყალიბე ნარჩენების წარმოქმნას ადგილი არ ექნება. რაც შეეხება არმირების და ბეტონის ნარჩენებს გამომდინარე მოსაწყობი ნაგებობის მცირე ზომებიდან იქნება უმნიშვნელო რაოდენობის.
- **ნაპირსამაგრი ნაგებობა** - სრულად იქნება მოწყობილი ადგილობრივი ექსკავირებისას წარმოქმნილი ლოდნარით და ნარჩენების წარმოქმნას ადგილი არ ექნება.
- **ელექტროგადამცემი ხაზის ორი საყრდენი ანძის** ადგილმონაცვლეობის პროცესში ფუჭი ქანების წარმოქმნას ადგილი არ ექნება, რადგან ამოღებული გრუნტი სრულად იქნება გამოყენებული უკუყრილის სახით.
- **მნიშვნელოვანია** ასევე, რომ პროექტში შეტანილი ცვლილების განხორციელებისათვის დაგეგმილი სამუშაოები შესრულებული იქნება პროექტში დასაქმებული პერსონალის გამოყენებით და ამ საქმიანობისათვის დამატებითი პერსონალის აყვანა დაგეგმილი არ არის. შესაბამისად საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობის ზრდას ადგილი არ ექნება.
- **ახალქალაქი ჰესის მშენებლობის პროცესში** წარმოქმნილი ნარჩენების მართვა ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის მიხედვით.

AIS LLC
(Akhalkalaki HPP)

Addr: No 13-4, IV Floor, VIII Entrance, No12 Sulkhan Tsintsadze Str. Tbilisi, Georgia
Tell: (+995) 593 320 216 – (+995) 598 132 201
E-mail: imatitashvili@ais-georgia.ge – hsabourti@ais-georgia.ge

AIS LLC
(Akhalkalaki HPP)

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება ახალი გზების მოწყობას არ საჭიროებს და გამოყენებული იქნება პროექტის მიზნებისათვის უკვე არსებული მისასვლელი გზები.

წერილს თან ერთვის:

- ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, მდ. ფარავანსა და მდ. კორხზე 9.1 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ახალქალაქი ჰესის“ (ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2), 35 კვ. ქვესადგურის და ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიში 1 ეგზემპლარით ნაბეჭდი ვერსია;
- სკრინინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია და საქმიანობის განხორციელების ტერიტორიების GIS კოორდინატები SHPs ფაილების სახით;

კითხვების შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიის ტექნიკურ დირექტორს - ირაკლი აბრამიშვილს 555 23 33 66.

პატივისცემით,

თეიმურაზ მათითაშვილი

დირექტორი



AIS LLC
(Akhalkalaki HPP)

Add: No 13-4, IV Floor, VIII-Entrance, No12 Sulkhan Tsintsadze Str. Tbilisi, Georgia
Tel: (+995) 593 320 216 – (+995) 598 132 201
E-mail: matitaslavili@ais-georgia.ge – hsabourti@ais-georgia.ge